



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი

10 აპრილი, 2020

სხდომის თემა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ
არსებული გამოწვევები ახალ კორონავირუსთან (COVID -19)
მიმართებით;

მიღებული გადაწყვეტილებები/მოქმედებები:

- განიხილოს ინფორმაციის მაკოორდინირებელი ჯგუფის შექმნა;
- განიხილოს „ჯანმოს“ მიერ უშუალოდ შშმ პირებისთვის გაცემული რეკომენდაციების დამტკიცება;
- ფსიქიატრიული სტაციონარებისთვის და სამედიცინო პერსონალისთვის პროტოკოლების შემუშავება წარმართოს თემის ჩართულობით;
- განიხილოს დამატებითი ბენეფიტების გაცემის შესაძლებლობა, განსაკუთრებით კი შშმ ბავშვებისთვის;
- გაუმჯობესდეს დისტანციურ სწავლებაზე მისაწვდომობა შშმ ბავშვებისთვის;
- განიხილოს მარტოხელა შშმ ქალების საჭიროებები;
- გაგრძელდეს თემისათვის ინფორმაციის რეგულარულ რეჟიმში მიწოდება.

დანართები

დანართი N1. მონაწილეთა სია

დანართი N2. დღის წესრიგი

დისკუსია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში, **ლელა აქიაშვილმა** სამუშაო შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა. მან დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა შეხვედრაში მონაწილეობისთვის.

აღნიშნულის შემდგომ, სიტყვა გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, **თამილა ბარკალაიას**, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ხაზი გაუსვა შეხვედრაზე განსახილველი საკითხების მნიშვნელობას. მან აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად ეკონტაქტება მათი სერვისის მიმწოდებლებს. უკვე განხორციელდა რიგი აქტივობები, მათ შორის, ცვლილებები სოციალური-რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამაში ახალ კორონავირუსთან (COVID – 19) ბრძოლის პირობებში. ჯანდაცვის სამინისტრო პრიორიტეტულად გადართულია ახალ კორონავირუსთან (COVID – 19) ბრძოლაზე ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. სამინისტრო პირველ რიგში ატარებს პრევენციულ ზომებს იმისათვის, რომ შემცირდეს ვირუსის გავრცელება. სწორედ ამას ემსახურებოდა ყველას ის ცვლილება, რომელიც ამ მოკლევადიან ჭრილში გატარდა სამინისტროს მიერ. სამინისტროს პრიორიტეტია სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბენეფიციარების, განსაკუთრებით კი, რისკ-ჯგუფების დაცვა ვირუსისაგან.

აღნიშნულის შემდეგ, სიტყვა გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს, **თეა გვარამაძეს**, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალ კორონავირუსთან (COVID – 19) ბრძოლის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების დაწყებისთანავე დაიგეგმა რამდენიმე მიმართულებით მუშაობა. მაგალითად, ფულადი გასაცემლების საკითხი - რა ღონისძიება უნდა გატარებულიყო, იმისათვის, რომ ხალხი სახლში დარჩენილიყო და სხვადასხვა ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებისთვის გარეთ გასვლის საჭიროება არ დამდგარიყო. ასევე, ერთ-ერთი მიმართულებას წარმოადგენდა რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის კომპონენტი. მისი განცხადებით, დღეის მდგომარეობით არ ხდება პენსიის, კომპენსაციის, სოციალური პაკეტის ან რაიმე სხვა ტიპის ბენეფიტის შეჩერება, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა შეჩერების საფუძვლები. ასევე, იმ პირებისთვის, ვისი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გადამოწმების ვადა დგება და უწევს სამედიცინო დაწესებულებაში მისვლა, არსებულ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ამონაწერს შეუნარჩუნდა იურიდიული ძალა. რაც შეეხება სოციალურ შემწეობას, თუ ოჯახი განცხადებით მიმართავს სოციალური მომსახურების სააგენტოს, ასეთ შემთხვევაში, სპეციალურად აღჭურვილი და ყველა დამცავი საშუალებით უზრუნველყოფილი სოციალური აგენტი მივა ოჯახში და შეავსებს ოჯახის დეკლარაციას. გარდა ამისა, აღდგენილ იქნა იანვრიდან შეჩერებული ყველა ქეისი, ვინაიდან შეჩერება გულისხმობს, რომ სოციალური აგენტი ხელახლა უნდა მივიდეს და გადაამოწმოს ოჯახი. აღნიშნულ სიტუაციაში, ვინაიდან სოციალური აგენტი მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში ახორციელებს ვიზიტს ოჯახში,

ამიტომ აღდგა ყველა შეჩერებული შემწეობის ქეისი. ასევე, „ვორქნეტზე“ რეგისტრაცია წარმოადგენს სავალდებულო პირობას, ბაზაში ქულის დათვლისათვის, თუმცა, იმის გამო, რომ „ვორქნეტზე“ რეგისტრაციაში დახმარების მიღების გამო მოქალაქეები მიდიოდნენ სოციალური მომსახურების სააგენტოში, დღეის მდგომარეობით რეგისტრაციის მოთხოვნაც აღარ არსებობს. შესაბამისად, მაქსიმალურად შეიზღუდა მოქალაქეების გარეთ გასვლის საჭიროება, ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების მიზნით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, **თამილა ბარკალაიამ**, აღნიშნა, რომ ახალმა კორონავირუსმა (COVID – 19) როგორც ჯანდაცვის, ასევე ეკონომიკის სფეროში საკმაოდ დიდი უარყოფითი შედეგები მოიტანა. შესაბამისად, იზრდება ადამიანების მოწყვლადობა. სამინისტროს მხრიდან ყველაზე დიდი პროგრამა, რომელითაც სახელმწიფო ყველაზე უკეთ ხედავს მოწყვლად ადამიანებს, ეს არის მიზნობრივი სოციალური პროგრამა, სადაც სოციალურად შეჭირვებული პირები არიან რეგისტრირებული ან აქვთ რეგისტრაციის საშუალება. პირველი, რაც გაკეთდა, მაქსიმალურად გამარტივდა მიზნობრივი სოციალური პროგრამის ადმინისტრირება, იმისათვის, რომ ყველანაირი შეფერხება, რაც შეიძლებოდა დამდგარიყო ამ პერიოდის განმავლობაში, განეიტრალებულიყო. შეწყვეტილი გასაცემლები აღდგა, ხოლო ახალი გასაცემლების დანიშვნა მაქსიმალურად გამარტივდა. შედეგად, მიზნობრივი სოციალური გასაცემლები წინა თვესთან შედარებით, მეტი რაოდენობით გაიცა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მიზნობრივ სოციალურ პროგრამაში არიან ერთ-ერთ პრიორიტეტულ ჯგუფში.

თვა გვარამაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა რეაბილიტაციის პროგრამაზე, სადაც მისი თქმით, არსებობდა ორი ტიპი გამოწვევა:

მაშინ როდესაც სერვისები (არა 24 საათიანი) შეჩერებულ იქნა, სამინისტროს უნდა გამოეხატა მხარდაჭერა და შეენარჩუნებინა სერვის პროვაიდერები, ხოლო მეორე გამოწვევას წარმოადგენდა თავად ბენეფიციარები და მათზე ორიენტირებული სერვისების შექმნა აღნიშნული ვირუსის პირობებში. განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, 70%-იანი დაფინანსება მიეცა ადრეული განვითარების პროგრამას და ბინაზე მოვლას, 60%-იანი - დღის ცენტრებს, 50%-იანი - დაგეგმილი სენსების ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის პროგრამას. გამომდინარე იქიდან, რომ დღის ცენტრების პროგრამაში შედიოდა კვების კომპონენტი და ბენეფიციარებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ დღის ცენტრში მისვლისას საკვებით იქნებოდნენ უზრუნველყოფილნი, გათვალისწინებულ იქნა ეს საკითხი და მოსარგებლებს მიეცემათ 2 თვიანი ვაუჩერი (ჯამში 160 ლარის ოდენობით). რაც შეეხება დისტანციურ სწავლებას, სერვის პროვაიდერებთან აქტიური კომუნიკაციით სამინისტრომ დაგეგმა მინიმალური კურიკულუმის შექმნა, რომლის ფორმალიზება მოხდება და დამტკიცდება მინისტრის ბრძანებით, თუმცა მას ექნება სარეკომენდაციო ხასიათი. მისი მიზანია პროგრამით მოსარგებლებმა კვირის განმავლობაში გარკვეული მომსახურებები მიიღონ დისტანციურად. ამისათვის სამინისტროს მომზადებული აქვს დღის ცენტრების,

ადრეული ინტერვენციის, რეაბილიტაცია-აბილიტაციის, ბინაზე მოვლის მოდიფიცირებული პროგრამები. საბოლოო სამუშაო ვერსიები გაგზავნილია ყველა შესაბამის პროვაიდერთან. გარდა ამისა, პროვაიდერებისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის შესახებ, რომლის დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ დღის ცენტრების მოსარგებლეთა 60%-ს აქვს ინტერნეტსა და კომპიუტერთან წვდომა. ძირითადად, ინტერნეტთან წვდომის პრობლემა დგას მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების დღის ცენტრებში, რასთან დაკავშირებითაც გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით იგეგმება ტექნიკური აღჭურვილობით დახმარება. ზემოაღნიშნული კურიკულუმები მომდევნო კვირისათვის იქნება მზად, რის შემდგომაც სერვის პროვაიდერები თავიანთი შესაძლებლობების და სურვილის შესაბამისად, ყველა ინდივიდუალურ გეგმას მოარგებენ დისტანციურ სწავლებას და შესაბამის ჩანაწერებს გააკეთებენ თავიანთ ინდივიდუალურ გეგმაში. რაც შეეხება უშუალოდ რეკომენდაციებს, უახლოეს დღეებში დამტკიცდება „ჯანმოს“ რეკომენდაციები უშუალოდ შშმ პირებისთვის. ასევე, რეკომენდაციები იქმნება სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებისთვის, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით.

თამილა ბარკალაიას განცხადებით, ოცდაოთხსაათიანი დაწესებულებებისთვის, როგორცაა შშმ პანსიონატები, სათემო ორგანიზაციები, ბავშვთა სახლები, ცალკე მიღებულია პრევენციული ზომები. ტრეფიკინგის ფონდის ფარგლებში არსებული დაწესებულებები გადაყვანილია საკარანტინო მდგომარეობაზე, რაც გულისხმობს რომ მომვლელები და აღმზრდელები 1 კვირის ან 10 დღის განმავლობაში არ ტოვებენ დაწესებულებას. რაც შეეხება სათემო ორგანიზაციებს, მათთვის რეკომენდაციები გამოცემული იქნება რამდენიმე დღეში.

„სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ ხელმძღვანელმა, **მერი მალაფერიძემ** განაცხადა, რომ პრევენციული ღონისძიებების გატარება დაწესებულებებში დაიწყო ქვეყანაში კორონავირუსის შემთხვევების აღმოჩენისთანავე. მან აღნიშნა, რომ დიდი ზომის ინსტიტუციებში ხორციელდება კონტროლი, რათა გარეშე პირების შესვლა არ მოხდეს დაწესებულებებში რაიმე განსაკუთრებული მიზეზის არსებობის გარეშე, ასევე ბენეფიციარებმა არ დატოვონ დაწესებულებები. ბენეფიციარების უმრავლესობა აღჭურვილია ტელეფონით, ასევე დაწესებულებები უზრუნველყოფილია ინტერნეტით, რათა მაცხოვრებლებმა მაქსიმალურად შეძლონ ადამიანებთან კონტაქტი, თუმცა მათივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, დაწესებულებებში მიმოსვლა მაქსიმალურად შეზღუდულია. მან ასევე აღნიშნა, რომ გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ინსტიტუციებში მყოფი პირებისთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ხელშეწყობის მიზნით, სუპერვიზიის და მხარდაჭერის კომპონენტის განვითარებაზე.

ლელა აქიაშვილმა მომხსენებლებს მადლობა გადაუხადა ინფორმაციის გაზიარებისთვის და აღნიშნა, რომ ვებ პორტალზე stopcov.ge განთავსებულ საინფორმაციო ხასიათის ვიდეოებს აქვს ჟესტური ენის თარგმანი და სუბტიტრები. გაეროს განვითარების ფონდთან ერთად ასევე მიმდინარეობს მუშაობა, რომ რამდენიმე არსებულ ვიდეოს მაქსიმალურად სწრაფად

დაემატოს ჟესტური ენის თარგმანი. ასევე, მიმდინარეობს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის გამარტივებული საინფორმაციო მასალის მომზადება. ცხელ ხაზებს - 112 და 144, აქვს სმს ფუნქცია EDF-ის რეკომენდაციის შესაბამისად. მიმდინარეობს მუშაობა, რომ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართული ბრიფინგები გაიმართოს ჟესტური ენის თარგმნის თანხლებით. ტელე სკოლის გაკვეთილები, რომელიც მიმდინარეობს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, გადის ჟესტური ენის თანხლებით. საკარანტინე ზონები ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით და ჯანდაცვის სამინისტროს ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე პროტოკოლის შემუშავებაზე. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ექიმთან ვიზიტის დროს შესაძლებელია პირის უზრუნველყოფა თარგმნის სერვისით ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

მიმდინარეობს მუშაობა დისტანციური ფსიქოლოგიური სერვისებისთვის, რაზეც რამდენიმე ორგანიზაცია გამოთქვამს მზაობას. ასევე, გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისთან შეთანხმებით, მიმდინარეობს დისტანციური პრაქტიკული სასერთიფიკატო პროგრამების დაგეგმვა, რომლის თემატიკა განისაზღვრება თემის ჩართულობით. მოხალისეთა ჯგუფები მთელი ქვეყნის მასშტაბით მობილიზებულია და ისინი უკვე ეხმარებიან მარტოხელა მოხუცებს და შშმ პირებს, რომლებიც რისკის ჯგუფს წარმოადგენენ. ამ ეტაპზე არ ხდება ყველა პირის საჭიროების დაფარვა, თუმცა პროაქტიულ რეჟიმში მიმდინარეობს საჭიროებების გამოვლენა და შემდგომ მათი დაკმაყოფილება.

და ბოლოს, COVID19-ის კრიზისით გამოწვეული სოციო-ეკონომიკური შედეგების შერბილების მიზნით, მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან მიმდინარეობს მუშაობა ისეთ საკითხებზე, როგორცაა დამატებითი ბენეფიტები შშმ ბავშვებისთვის და სხვა.

აღნიშნულის შემდგომ, სიტყვა გადაეცა გაეროს განვითარების პროგრამის მენეჯერს, **მარიამ თუთბერიძეს**. მან მოკლედ მიმოიხილა გაეროს განვითარების პროგრამის დაგეგმილი და უკვე დაწყებული სამუშაოები, რომელსაც ისინი ახორციელებენ ჯანდაცვის სამინისტროსა და მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციით და თანამშრომლობით. მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა გაიდლაინებზე სხვადასხვა მიმართულებით, ასევე ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური სერვისების შეთავაზებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. ვინაიდან პროგრამის წარმომადგენლები ესწრებოდნენ თემის მიერ გამართულ შეხვედრებს, ასევე მთავრობის ადმინისტრაციისგან იღებდნენ შშმ თემისგან გაზიარებულ თხოვნებს, სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე გამოიკვეთა პრიორიტეტები, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა.

მიმდინარეობს მუშაობა პროტოკოლებსა და სახელმძღვანელოზე. ერთი მიმართულება არის ფსიქიატრიული სტაციონარებისთვის პროტოკოლი. ასევე, სამედიცინო პერსონალისთვის პროტოკოლის შემუშავებაზე, რასთან დაკავშირებითაც ჯანდაცვის სამინისტროსთან მიმდინარეობს თანამშრომლობა, თუმცა ამ ეტაპზე გადაწყვეტილება არაა მიღებული.

პროტოკოლი კეთდება სამედიცინო დაწესებულების გარეთ არსებული სერვისებისთვისაც. მიმდინარეობს მუშაობა კრიზისების მართვაზე ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ასევე, პანსიონატებში ერთის მხრივ კრიზისების მართვაზე პერსონალისთვის და მეორეს მხრივ, ბენეფიციარებისთვის. გაეროს განვითარების პროგრამა ასევე უზრუნველყოფს, რომ ვებ პორტალზე stopcov.ge დადებული მასალა იყოს ნათარგმნი და ყველასთვის მისაწვდომი. გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა ახალი საინფორმაციო მასალის შემუშავებაზე. საინფორმაციო მასალები იქნება ბეჭდური მასალის სახის, ანიმაციური ვიდეოების სახით, ასევე ეს მასალები მოწოდებული იქნება ისეთ ფორმატში, რომ ისინი გავრცელდეს დიდი ზომის ინსტიტუციებში. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაცია ღიაა იმ საჭიროებებისთვის, რომლებიც შეიძლება სახელმწიფოში არსებობდეს. შესაბამისად, თუ დამატებითი საჭიროებები გაჩნდება, ისინი მზად არიან თანამშრომლობისთვის. მან აღნიშნა, რომ ყველა საინფორმაციო მასალა, რომელსაც მოამზადებენ იქნება თემთან ერთად გავლილი და მოისმენენ მათ უკუკავშირს.

აღნიშნულის შემდეგ, **ლელა აქიაშვილმა** გააჟღერა ის შეკითხვები, რომლებიც წერილობით გაჟღერდა დამსწრე პირების მიერ, რომელთა შორის იყო სოციალური პაკეტების წინასწარ გაცემის საკითხი, ისევე, როგორც ეს მოხდა ასაკობრივი პენსიის შემთხვევაში. ასევე, გამოითქვა მოსაზრება სმენის შეზღუდვის მქონე პირებისთვის დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამების ამოქმედების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

თამილა ბარკალაიას განცხადებით, სერვისის მიმწოდებლებისგან მოწოდებულ იქნა საჭიროებები, რომლებიც აქვთ ბენეფიციარებს, შესაბამისად, სამინისტროს მიერ ცვლილებები შემუშავებულ იქნა მათი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით. ჩართულობა შესაძლოა ვერ იყო სრული, რადგან გადაწყვეტილებების მიღება ხდება საათობრივად და ხშირ შემთხვევაში მყისიერად, დღევანდელი რეალობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამ ეტაპზე ყველაზე მარტივად ხელმისაწვდომი სამინისტროსთვის იყო მისივე სერვისის მიმწოდებლები და საერთაშორისო პარტნიორები.

რაც შეეხება მძიმე და ღრმა ჩამორჩენის მქონე პირების კარანტინში მოთავსების საკითხს, ამასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს შემუშავებული აქვს პროტოკოლი, რომლის თანახმადაც კარანტინში განთავსდება ბენეფიციარი მანამ, სანამ გრძელვადიან ზრუნვაში იქნება გადაყვანილი. ჯანდაცვის დეპარტამენტში არის რეაგირების ჯგუფი, რომელიც რეაგირებს თითოეულ ასეთ შემთხვევაზე და ინდივიდუალურად ბენეფიციარის საჭიროებაზე მორგებულ სერვისში ათავსებს პირს. მან ასევე აღნიშნა, რომ გამოიცა მინისტრის ბრძანება რისკ ჯგუფებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ხანდაზმულები და შშმ პირები არიან ერთ-ერთ პრიორიტეტულ კატეგორიაში.

თეა გვარამაძემ განაცხადა, რომ ზოგადი წესის თანახმად, ორი თვე ვაუჩერის გამოუყენებლობა იწვევს მის შეწყვეტას, თუმცა ამ პერიოდში ეს წესი არ იმოქმედებს როდესაც ჩვეულებრივ

რიტმს დაუბრუნდება ქვეყანა, ასეთ პირებს ვაუჩერები გაუგრძელებათ და არ მოხდება მათი შეწყვეტა.

მან აღნიშნა, რომ დისტანციური სწავლება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით, იგეგმება რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ტელესკოლის ფორმატში, რამდენიმე საათი დაეთმოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს.

დღეის მდგომარეობით, შეჩერებულია დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამა, რათა მაქსიმალურად ყველა ადამიანი დარჩეს სახლში, ასეთ დროს საჭიროა, სპეციალისტის ვიზიტი სახლში, რაც ასევე რისკის შემცველია. განცხადებების გაკეთება შესაძლებელია ინტერნეტით. ეს განცხადებები თავს იყრის ზრუნვის სააგენტოში და როგორც კი დასრულდება ასეთი რეჟიმი, უსწრაფესად ჩაინიშნება კომისია და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. რაც შეეხება მომლოდინეთა სიაში მყოფ პირებს, თუ მათ ჩართვას უზრუნველყოფენ თავად პროვაიდერები, სამინისტროს არ აქვს წინააღმდეგობა ამასთან დაკავშირებით, თუმცა სერვის პროვაიდერებს სამინისტრო ვერ დაავალდებულებს, რომ მიიღონ მომლოდინეთა სიაში მყოფი პირები და გაუწიონ მათ მომსახურება. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებმაც დაწერეს განცხადება ორი თვით ადრე, ვაუჩერის შეწყვეტასთან დაკავშირებით, ასეთ პირებს ვაუჩერები არ შეუწყდებათ.

მერი მალაფერიძემ განაცხადა, რომ სათემო ორგანიზაციებისთვის შეთავაზებულ იქნა გარკვეული ოდენობა პირბადეები და მათი სურვილის შესაბამისად რიგდება პერიოდულად.

ამის შემდგომ, სიტყვა გადაეცა **თამარ მაჭარაშვილს**, რომელიც მუშაობს შშმ ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით. მისი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: იგეგმება თუ არა რაიმე სახის ღონისძიებები შშმ ქალებისათვის. ასევე, მისი მოსაზრებით, მარტოხელა შშმ ქალების საჭიროებები უნდა გათვალისწინებულ იქნეს პირველ რიგში, რადგან მათი მეგობრები ასევე არიან შშმ პირები, რომლებიც ვერ შეძლებენ დახმარება გაუწიონ აღნიშნულ პირებს. ამიტომ, ისინი საჭიროებენ დროულ მხარდაჭერას. ის მარტოხელა ქალები, რომლებიც იმყოფებიან თვითიზოლაციაში, ფაქტობრივად არიან ყურადღების მიღმა. ამასთან, ძალადობასთან დაკავშირებით, შშმ ქალის მხრიდან ზარის დაფიქსირების შემთხვევაში, პერსონალი რამდენად არის გადამზადებული იმისთვის, რომ აღმოუჩინოს შესაბამისი მხარდაჭერა;

შემდეგ, სიტყვა გადაეცა საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის ხელმძღვანელს, **ლია ტაბატაძეს**. მან აღნიშნა, რომ საჭიროა შემუშავდეს თანამშრომლობის მექანიზმი თემსა და სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის, რათა ინფორმაციის მიწოდება და მასზე რეაგირება მოხდეს სწრაფად. შესაბამისად, მას მიაჩნია, რომ უნდა არსებობდეს თანამშრომლობის ფორმა, რომლის მიხედვითაც ისინი ინფორმაციას მიაწვდიან სახელმწიფოს და მიიღებენ შესაბამის რეაგირებას;

შემდეგი კითხვა გააჟღერა **გიორგი ძნელაძემ**, რომელმაც აღნიშნა, რომ აუცილებელია სწრაფი რეაგირების კონტაქტ ჯგუფის არსებობა. არსებობს კითხვები, მაგალითად, სად მიყავს მშობელს ბავშვი, თუკი თავად არის ინფიცირებული და უწევს საავადმყოფოში მოთავსება, თუ ეტლით მოსარგებლე ან სხვა შშმ პირი დაინფიცირდა და შედის ინტენსიურ პალატაში, მიჰყვება თუ არა მომვლელი მას, რადგან მომვლელებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა, როგორ მოუარონ აღნიშნულ პირებს. რამდენად მზად არის სახელმწიფო ასეთი სიტუაციებისთვის. რამდენად დაცულია ინსტიტუციებში მცხოვრები პირები. მან განაცხადა, რომ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის კომისიის მყისიერად ჩანიშვნის შემთხვევაში, ისინი მზად არიან დააკმაყოფილონ ყველა პირის საჭიროება.

შემდგომ, სიტყვა გადაეცა **მედია შალამბერიძეს**, რომელმაც ყურადღება გაამახვილა საქართველოს მთავრობის N218-ე დადგენილების იმ ნაწილზე, რომელიც ეხება სერვისებს და მათი დაფინანსების საკითხებს. მისი განცხადებით, ყველა მშობელი თანხმდება იმაზე, რომ სერვისები უნდა შენარჩუნდეს, თუმცა ეს ყველაფერი დაემსგავსა სოციალურ პაკეტს, საიდანაც 60-70% გადაეცა სერვისებს. თუ ეს ანაზღაურება დაკავშირებული იქნებოდა ჩატარებული ონლაინ თერაპიების რაოდენობასთან, მაშინ აღნიშნული არ დაემსგავსებოდა სოციალურ პაკეტს. ზრუნვის მიღმა დარჩა ამ სერვისების მთავარი სამიზნე ჯგუფი. არაფერი ხდება მათთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არიან ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ყველა პროგრამა, რომელიც სახელმწიფომ შეიმუშავა, მორგებულია იმ პირებზე, ვისაც სოციალური სტატუსი აქვს დადგენილი, ხოლო შშმ პირების დიდი ნაწილი არაა სოციალურად დაუცველი, თუმცა საგანგებო მდგომარეობის დროს ისინი მნიშვნელოვნად დაზარალებულები არიან. მშობლებმა არ იციან რით დააკავონ ბავშვები სახლში, ასევე ბევრი მათგანი თვითდასაქმებული იყო და დღეს უწევთ სახლში ყოფნა. შესაბამისად, საჭიროებები მხოლოდ სოციალური სტატუსის მქონე პირებს არ აქვთ, არამედ ზოგადად, შშმ პირებს. საკარანტინო ზომების მხოლოდ ეტლით მოსარგებლებისთვის ადაპტირება არ არის საკმარისი და ისინი უნდა იყვნენ სივრცით ადაპტირებული ისეთი ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის, რომლებსაც ქვევითი აშლილობა აქვთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მშობელს ჰქონდეს უფლება, გაჰყვას მას სტაციონარში. მან ასევე აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწრაფი ტესტირება გაკეთდეს საოჯახო ტიპის საცხოვრისებში.

სიტყვა გადაეცა **კობა ნადირაძეს**, რომლის შეკითხვა ეხებოდა მონაცემების დამუშავებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მხარდაჭერას იღებენ სხვადასხვა კატეგორიის შშმ პირები ან რა დაბრკოლებებს აწყდებიან ისინი ამ ვითარებაში. მისი მოსაზრებით, აღნიშნული პირების საჭიროებების დაკმაყოფილება საქველმოქმედო ერთჯერადი აქციებით არ უნდა მოხდეს და მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია რა შემთხვევაში რა ტიპის ვაუჩერი გაიცემა და შემდგომ აღნიშნული ვაუჩერით თავად განსაზღვროს საჭიროებები და მოიხმაროს აღნიშნული თანხა. ასევე, ისაუბრა სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ პირებზე, რათა სურვილის შემთხვევაში მათას მისცემოდა შესაძლებლობა, წინსწრებით მიეღოთ 2 ან მეტი მოცულობის სოციალური პაკეტი.

მან ასევე დასვა შეკითხვა, იცნობენ თუ არა ჯანდაცვის სამინისტროში საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებითაც რეგულირდება ჩართულობის სტანდარტი სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას. მან ისაუბრა შშმ პირთა და მათი წარმომადგენლობით ორგანიზაციების ჩართულობის სტანდარტის არსებობაზე, კონსულტირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ #7 (9.11.2018) ზოგად კომენტარზე დაყრდნობით.

შეკითხვებზე პასუხების გაცემისას **თამილა ბარკალაიამ** განაცხადა რომ შშმ პირებთან დაკავშირებული პროგრამები არამხოლოდ ახალი კორონავირუსის პროცესში, არამედ ზოგადად არის არასაკმარისი და საჭიროებს დამატებით გაძლიერებას. ამ პირობებში ყველა მოწყვლადი პირის უზრუნველყოფა ვერ მოხდება, თუმცა უნდა გაკეთდეს მაქსიმუმი იმ კატეგორიებისთვის, რომლებიც ამ პერიოდში ყველაზე მეტად მოწყვლადები არიან. მან

გამოთქვა მზაობა, შეიქმნას მთავრობის ადმინისტრაციის, ზრუნვის სააგენტოს და ჯანდაცვის სამინისტროს კონკრეტული პირებისგან შემდგარი ინფორმაციის მოგროვების ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი იქნება წყარო ინფორმაციის მიღებისა და შეტყობინების გაკეთების. მან აღნიშნა, რომ განიხილება ჯგუფის საკითხი და თემის წევრებს მიეწოდება ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებაზე. კომუნიკაცია მოხდება ცხელ ხაზთანაც, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაცია ვისთან გადაამისამართონ კონკრეტული შემთხვევები. მანვე აღნიშნა, რომ სოციალურ სააგენტოში ახალი განცხადებების დაკმაყოფილების დრო შემცირდა 2 თვიდან 1 თვემდე.

24 საათიან დაწესებულებებში მაქსიმალურად დაცულია საერთაშორისო რეკომენდაციები, სწორედ ამიტომ მაქსიმალურად შეიზღუდა მიმოსვლა ამ დაწესებულებებში, რადგან ისინი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკის დაწესებულებებია.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 218-ე დადგენილებას, ცვლილებები განხორციელდა იმისათვის, რომ სერვისები შენარჩუნდეს და როგორც კი სერვისების აღდგენის შესაძლებლობა იქნება, მათი ფუნქციონირება უზრუნველყოფილი იყოს. ეს არის ერთადერთი გზა, რომ სერვისები შენარჩუნებულ იქნეს. პრობლემაა, რომ ბენეფიციარები, რომლებისთვისაც ეს სერვისები არსებობს, ამ პერიოდში ვერ იღებენ სრულყოფილად და სრულფასოვნად ამ სერვისებს. ამ ეტაპისთვის ყველაზე რეალური ალტერნატივა არის ონლაინ სერვისები და მხარდაჭერა, რაზე მიმდინარეობს მუშაობა, რომ იმ ბენეფიციარებისთვის იყოს ხელმისაწვდომი, ვისთვისაც არსებობს ეს სერვისები.

დღის ცენტრებში ერთერთი კომპონენტი იყო კვების კომპონენტი, სწორედ ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ მათი ბენეფიციარები მიიღებენ კვების ვაუჩერებს. ყველა დანარჩენ ბენეფიციარს მიუხედავად იმისა, არის თუ არა სოციალურად დაუცველი, სჭირდება სარეაბილიტაციო პროგრამები, მხარდაჭერა. სწორედ ამიტომ მიმდინარეობს მუშაობა ონლაინ

პლატფორმაზე. მან აღნიშნა, რომ სამინისტრო მზადაა მოისმინოს და განიხილოს სხვა შემოთავაზებები, გარდა მონეტარული სისტემისა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ონლაინ სერვისებთან დაკავშირებით დახმარების საჭიროების შემთხვევაში, გაეროს განვითარების პროგრამის მენეჯერმა, მარიამ თუთბერიძემ დააფიქსირა მზაობა, მხარდაჭერისათვის.

სიტყვა გადაეცა ნინო აბელაშვილს, რომლის კითხვა ეხებოდა ონლაინ სწავლებას კოლეჯებისთვის, სადაც ამჟამად არ მიმდინარეობს ონლაინ სწავლება. ვინაიდან განათლების სამინისტროს წარმომადგენელი არ ესწრებოდა შეხვედრას, შეკითხვას ვერ გაეცა პასუხი.

მერი მალაფერიძემ აქცენტი გააკეთა ძალადობისგან დაცვის სერვისებზე. მისი თქმით, ოჯახში ძალადობა გამოწვევაა არამხოლოდ კორონავირუსის დროს, თუმცა შემთხვევათა რაოდენობა იზრდება ასეთ პირობებში. თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები ამ დრომდე იღებდნენ ბენეფიციარებს, მათ შორის, შშმ პირებს და ეს სერვისები მაქსიმალურად მორგებულია შშმ პირებზე. სააგენტოს მიერ მიღებულია მაქსიმალური ზომები, რომ ეს სერვისები იყოს უსაფრთხო. გამოყოფილია საიზოლაციო სივრცე თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში. ასევე, დაგეგმილია სხვა ღონისძიებები, თუ მსხვერპლების განთავსება გახდა საჭირო საკარანტინო ზონაში. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკაში უკვე ჰქონიათ შემთხვევები, როდესაც ბავშვი რჩება მზრუნველის გარეშე და იმავე პრინციპით მოხდება მოქმედება ახალი კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევაშიც. მან აღნიშნა, რომ 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს ოჯახში და ქალის მიმართ ძალადობისგან დაცვის უფასო ცხელი ხაზი.

მანვე აღნიშნა, რომ UNICEF-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე, რათა იმ პირების, ვისაც არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა, რაიმე ფორმით მიეწოდოთ სერვისი.

რაც შეეხება ვაუჩერების გადაცემის საკითხს, მათი გადაცემა იგეგმება სერვისის მიმწოდებლების დახმარებით.

მაია შიშნიაშვილმა ითხოვა იმ დაწესებულებების დასახელება, რომლებზეც ვრცელდება ახალი კორონავირუსის პრევენციისთვის სკრინინგ ტესტები. მან აღნიშნა, რომ ის არის იმ ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელმაც შეიმუშავა გაიდლაინი რეზიდენტულ დაწესებულებაში კოვიდ ინფექციის პრევენციასა და კონტროლზე. აღნიშნული გადაიგზავნა სამინისტროში, როგორც რეკომენდაცია. მას აინტერესებდა, გათვალისწინებულ იქნა თუ არა აღნიშნული რეკომენდაციები და თუ არა, რატომ.

თამილა ბარკალაიამ აღნიშნა, რომ მისი ცნობით, გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული რეკომენდაციები.

სიტყვა გადაეცა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს, **მაგული შალაშვილს**, რომელმაც აღნიშნა, რომ თუკი არსებობს ენობრივი ბარიერის პრობლემა, გაეროს ბავშვთა ფონდი მზად

არის დახმარებისთვის, ასევე, ფონდი, მაკლეინის ასოციაციასთან თანამშრომლობით გეგმავს შშმ ბავშვების სერვის-პროვაიდერებისთვის პროფესიული ქოუჩინგის ნაწილში დახმარების გაწევას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

ამის შემდეგ, **ლელა აქიაშვილმა** შეაჯამა შეხვედრა, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და შეხვედრა დასრულებულად გამოაცხადა.

დანართი N1. მონაწილეთა სია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე დამსწრე სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები:

1. ლელა აქიაშვილი - პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში;
2. თამილა ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
3. მერი მაღლაფერიძე - „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ ხელმძღვანელი;
4. თეა გვარამაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;
5. თამარ რობაქიძე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებების სამდივნო;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე დამსწრე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

6. მარიამ თუთბერიძე - გაეროს განვითარების პროგრამა;
7. რუსუდან კობოძე - გაეროს განვითარების პროგრამა;
8. მაგული შალაშვილი - გაეროს ბავშვთა ფონდი;
9. სოფო ბენაშვილი - გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და აქტივისტები:

10. ანა ციციავი;
11. გიორგი ძნელაძე;
12. ზურა საჯაია;
13. ანა ნაზლაიძე;

14. ასმათი ჯანგავაძე;
15. დარინა დუმბაძე;
16. დიანა ჯანაშია;
17. გიორგი ახმეტელი;
18. ესმა გუმბერიძე;
19. დავით ბიბილეიშვილი;
20. გია კაკაჩია;
21. ირინე ინასარიძე;
22. კობა ნადირაძე;
23. ლალი სვიმონიშვილი;
24. ლია ტაბატაძე;
25. მათა ბიბილეიშვილი;
26. მარი კორკოტაძე;
27. მარიამ ჯანიაშვილი;
28. მარინა კობახიძე;
29. მედეა შალამბერიძე;
30. მზისადარი ფიფია;
31. ნანა გოჩიაშვილი;
32. ნათია გოგოლაშვილი;
33. ნათია შარვაძე;
34. ნათია ტარბაია;
35. ნინო აბელაშვილი;
36. ოლგა კალინა;
37. ანა აბაშიძე;
38. თამარ მაღლაკელიძე;
39. თინათინ გელხვიძე;

40. თომა კაკაბაძე;
41. ზურა საჯაია;
42. ვიქტორ ბარამია;
43. მანანა შარაშიძე;
44. ნონა კენჭუაშვილი;
45. რამინ მაჭარაშვილი;
46. ნინო ჩხაიძე;
47. რუსუდან შერვაშიძე;
48. ეკატერინე თორთლაძე;
49. მაია მეტონიძე

დანართი N2. დღის წესრიგი



**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების
საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი**

10 აპრილი 2020, 17:00

დღის წესრიგი

შეხვედრის თემა: COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის დროს
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
უფლებების დაცვის მიზნით გატარებული
ღონისძიებები და არსებული გამოწვევები

შეხვედრის მოდერატორი: ლელა აქიაშვილი, პრემიერ-
მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და
გენდერული თანასწორობის საკითხებში

17:00-17:15

შეხვედრის გახსნა

თამილა ბარკალაია, საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
მოადგილე

ლელა აქიაშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი
ადამიანის უფლებების და გენდერული

თანასწორობის საკითხებში

17:15-17:25

მერი მაღლაფერიძე, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და
ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების
სააგენტოს“ ხელმძღვანელი

17:25 – 17:35 თეა გარამაძე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

17:35 - 17:45 მარიამ თუთბერიძე, პროგრამის მენეჯერი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

17:45–18:30 დისკუსია
